


IQOS


მომხმარებლის სახელმძღვანელო

IQOS 3 DUO

IQOS™ 3 DUO დამტენი მოწყობილობა*




IQOS 3 DUO გასახურებელი მოწყობილობა*




*IQOS 3 DUO თავსებადია IQOS 3-თან

დატენვა და წმენდა



კვების ბლოკი



დამტენი კაბელი



IQOS საწმენდი ხელსაწყო



IQOS საწმენდი ჩხირები

მომხმარებელზე ზრუნვა

მომხმარებლის სრული სახელმძღვანელოსთვის და მომხმარებელზე ზრუნვისთვის ეწვიეთ

www.iqos.com

IQOS
CARE+PLUS

IQOS-ის მომხმარებლებისთვის დამატებითი სერვისის გასაცნობად ეწვიეთ

www.iqos.com/careplus**

** IQOS CARE PLUS შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი თქვენს ქვეყანაში.

გაიგეთ მეტი IQOS-ის შესახებ


გადმოიწერე IQOS CONNECT-ის აპლიკაცია Google Play-დან, რომ შეიტყო მეტი IQOS-ის შესახებ*




* Google Play და Google Play-ის ლოგო წარმოადგენს Google LLC -ის საავტორო ნიშანს.

* IQOS Connect-ის აპლიკაცია შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი თქვენს ქვეყანაში.

ჩართვა



მოწყობილობის ჩართვა
დააჭირეთ და 4 წამის განმავლობაში გეჭიროთ თითი IQOS 3 DUO-ს დამტენი მოწყობილობის ჩართვის ლილაკზე, შემდეგ აუშვით. მოწყობილობის და ელემენტის სტატუსის მაჩვენებლები აინთება.



გასახურებელი მოწყობილობის დატენვა
მოათავსეთ IQOS 3 DUO-ს გასახურებელი მოწყობილობა დამტენ მოწყობილობაში და დახურეთ გვერდითი პანელი. გასახურებელი მოწყობილობის სტატუსის მაჩვენებლის ნათება მიუთითებს დატენვის დონეს.

გასახურებელი მოწყობილობის დატენვის სტატუსის შემოწმება



2 ნათება
შზად არის
2 გამოყენებისთვის

1 ნათება
შზად არის
1 გამოყენებისთვის

ნათება არ არის
გასახურებული
მოწყობილობა
დასატენია





2 ნათება
შზად არის
2 გამოყენებისთვის

1 ნათება
შზად არის
1 გამოყენებისთვის



გასახურებელი მოწყობილობის სტატუსის შემოწმება

სტატუსის შესამოწმებლად
თითი დააჭირეთ და აუშვით
გასახურებელი მოწყობილობის
ლილავს.

IQOS 3 DUO-ს გასახურებელი
მოწყობილობის ნათება
მიუთითებს მისი დატენვის
დონეს.

IQOS 3 DUO-ს გასახურებელი მოწყობილობის სტატუსის შემოწმება IQOS 3 DUO-ს დამტენ მოწყობილობაზე

სტატუსის შესამოწმებლად თითი
დააჭირეთ და აუშვით დამტენი
მოწყობილობის ლილავს.



2 ციმციმი
შზად არის 2
გამოყენებისთვის


1 ციმციმი
შზად არის 1
გამოყენებისთვის



IQOS 3 DUO-ს გასახურებელი მოწყობილობის სტატუსის შემოწმება IQOS 3-ის დამტენ მოწყობილობაზე


დატენვის სტატუსის
შესამოწმებლად თითი
დააჭირეთ და აუშვით დამტენი
მოწყობილობის ლილავს.

როგორ გამოვიყენოთ IQOS 3 DUO




1. მოათავსეთ გასახურებელი თამბაქოს ღერი

ჩადეთ და ფრთხილად დააწეით გასახურებელი თამბაქოს ღერს ფილტრის ხაზამდე, ისე რომ ფილტრი დარჩეს გარეთ.



2. დაიწყეთ მოწყობილობის გახურება

დააჭირეთ გასახურებელი მოწყობილობის ჩართვის ლილაკს და გეჭიროთ, სანამ მოწყობილობა დაიწყებს ვიბრაციას და ნათება თეთრად ციმციმს.



3. დაიწყეთ გამოყენება


IQOS 3 DUO გასახურებელი მოწყობილობის ორი ვიბრაციის შემდეგ დაიწყეთ გამოყენება.



4. მოხმარება თითქმის დასრულებულია

გასახურებელი მოწყობილობის ვიბრაცია და ლილაკის თეთრად ციმციმი მიანიშნებს დარჩენილ 30 წამს ან 2 ნაფაზს.




როგორ გამოვიყენოთ IQOS 3 DUO



5. ამოიღეთ გასახურებელი თამბაქოს ღერი

აწიეთ თავსახური და ამოიღეთ გამოყენებული გასახურებელი თამბაქოს ღერი.

გასახურებელი მოწყობილობის წმენდა



1. გამოიყენეთ IQOS სანმენდი ხელსაწყო

აწიეთ სახურავი და ამოიღეთ მთლიანად.


დაელოდეთ, რომ მოწყობილობა გაგრილდეს, მასში მოათავსეთ IQOS-ის სანმენდი ხელსაწყო და ფრთხილად დაატრიალეთ.

2. გამოიყენეთ IQOS სანმენდი ჩხირები

გასახურებელი მოწყობილობის გასაწმენდად მასში მოათავსეთ სანმენდი ჩხირი და განმინდეთ წრიული მოძრაობით.


არ შეეხოთ გასახურებელი მოწყობილობის დანას IQOS-ის სანმენდი ჩხირით.

რჩევები და მინიშნებები




დამტენი მოწყობილობის ელემენტის სტატუსის შემოწმება

დამტენი მოწყობილობის ელემენტის სტატუსის შესამოწმებლად სწრაფად დააჭირეთ ჩართვის ღილაკს. ელემენტის დატენვის სტატუსს ნათება გვჩვენებს.




გადატვირთვა

დააჭირეთ თითო დამტენი მოწყობილობის ღილაკს 10 წამის განმავლობაში, შემდეგ აუშვით. სტატუსის ყველა მაჩვენებლის ნათება ჩაქრება და ორჯერ გაიელვებს გადატვირთვის დასადასტურებლად.



თეთრი ნათების ორჯერ ციმციმი

მიუთითებს, რომ მოწყობილობის ფუნქციონირებისთვის შეუფერებელი ტემპერატურაა ($<0^{\circ}/>50^{\circ}$). ან გასახურებელი მოწყობილობა უნდა მოთავსდეს დამტენ მოწყობილობაში, ისე რომ სრულ დატენვამდე გვერდითი პანელი დახურული იყოს.



წითელი ნათების ციმციმი

გადატვირთეთ IQOS 3 DUO. ციმციმის გაგრძელების შემთხვევაში დაუკავშირდით მომხმარებელზე ზრუნვის განყოფილებას.

IQOS



მოცემული სიმბოლო
მიუთითებს, რომ მოწყობილობის
გამოყენებისას უნდა დაიცვათ
უსაფრთხოების წესები.

უსაფრთხოების ზომები და ინსტრუქციები

გამოყენებამდე გთხოვთ, წაიკითხოთ უსაფრთხოების ზომები და ინსტრუქციები დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

უსაფრთხოების ზომები და ინსტრუქცია, რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავს, არ მოიცავს ყველა შესაძლო გარემოებას და სიტუაციას, რაც შეიძლება მოხდეს და მომხმარებელმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე.

შეინახეთ მოცემული უსაფრთხოების ზომები და ინსტრუქციები სამომავლოდ, ვინაიდან ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

პოტენციური მომხმარებლები

- IQOS™-ი და გასახურებელი თამბაქოს ღერები განკუთვნილია მხოლოდ სრულწლოვანთათვის.
- IQOS-ი და გასახურებელი თამბაქოს ღერები განკუთვნილია სრულწლოვანი მწველებისთვის, რომლებიც სხვაგვარად გააგრძელებენ მოწევას.
- IQOS-ის ან გასახურებელი თამბაქოს ღერების გამოყენება ყოვლად დაუშვებელია ბავშვებისა და არასრულწლოვნების მიერ.
- IQOS-ი ან გასახურებელი თამბაქოს ღერები არ უნდა იქნეს გამოყენებული შეზღუდული ფიზიკური, სენსორული, ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ, ან ისეთი პირების მიერ, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ უწევნ მეთვალყურეობას ან აძლევენ ინსტრუქციას მათი გამოყენების შესახებ და შეგნებული აქვთ თანმხლები რისკები.

თამბაქო და ნიკოტინი

- გასახურებელი თამბაქოს ღერები შეიცავს ნიკოტინს, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას.

- IQOS-ი და გასახურებელი თამბაქოს ღერები რისკის მატარებელია. თამბაქოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შემცირების საუკეთესო გზა თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი პროდუქტებისთვის თავის დანებებაა. IQOS-სა და გასახურებელი თამბაქოს ღერების ზოგიერთ მომხმარებელს აღენიშნა მუცლის ტკივილი, ტკივილი გულ-მკერდის არეში, სუნთქვის შეკვრის შეგრძნება, ხველა, სუნთქვის გაძნელება, თავბრუსხვევა, პირის სიმშრალე, ყელის სიმშრალე, გინგივითი, თავის ტკივილი, სისუსტე, ცხვირის გაჭედვა, გულისრევა, პირის ღრუს გაღიზიანების შეგრძნება, გახშირებული გულისცემა, ყელის გაღიზიანება და პირღებინება.
- ნიკოტინის შემცველი პროდუქტების გამოყენება დაუშვებელია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ ან არიან გულის დაავადების რისკის ქვეშ, აქვთ დიაბეტი, ეპილეფსია ან უვითარდებათ კრუნჩხვები.
- ნიკოტინის შემცველი პროდუქტების გამოყენება დაუშვებელია ორსულობის ან ლაქტაციის დროს. თუ ხართ ან ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად ან იმყოფებით ლაქტაციის პერიოდში, შეწყვიტეთ თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარება.
- მოწვევით თავის დასანებებლად ან IQOS-სა და გასახურებელი თამბაქოს ღერებზე ან სხვა ნიკოტინის შემცველ პროდუქტებზე გადასასვლელად შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული პრეპარატების დოზის კორექტირება (მაგ. თეოფილინი, კლოზაპინი, როპინიროლი).
- არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, კითხვების გაჩენის შემთხვევაში რჩევის მისაღებად, შეგიძლიათ თუ არა გამოიყენოთ IQOS-ი და გასახურებელი თამბაქოს ღერები, მიმართეთ ექიმს.

⚠ მნიშვნელოვანი ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ

⚠ გაფრთხილება სასულეში გადაცდენის და გადაყლაპვის საშიშროება

შეინახეთ IQOS-ი და გასახურებელი თამბაქოს ღერები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

- სასულეში გადაცდენის საშიშროება — IQOS აქსესუარები და გასახურებელი თამბაქოს ღერები შეიცავენ მცირე ნაწილებს.
- გადაყლაპვის საშიშროება — გასახურებელი თამბაქოს ღერის გადაყლაპვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ნიკოტინით ინტოქსიკაციის რისკის გამო.

⚠ გაფრთხილება ელექტრონიკასთან და ელემენტთან დაკავშირებული საფრთხეები

ელექტრო მოწყობილობასთან დაკავშირებული რისკები

უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი, აფეთქება, ელექტრო შოკი, ტრავმა;

პროდუქტისა ან სხვა საკუთრების
დაზიანება:

- IQOS-ის მოხმარება განკუთვნილია მხოლოდ პოტენციური მომხმარებლებისთვის.
- IQOS-ის დამტენი მოწყობილობა დატენეთ მხოლოდ IQOS-ის მიერ რეკომენდირებული კვების ბლოკის მოდელით, რომელიც მოთავსებულია ყუთში ან ხელმისაწვდომია თქვენს ადგილობრივ ან IQOS-ის ონლაინ (თუ მისაწვდომია თქვენს ქვეყანაში) მაღაზიებში. IQOS-თან თავსებადი კვების ბლოკის მოდელების სიის გასაცნობად იხილეთ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ტექნიკური მონაცემების ნაწილი.
- არ გამოიყენოთ მესამე მხარის აქსესუარები IQOS-თან მიმართებაში.
- IQOS-ის დამტენი მოწყობილობის დატენვა უნდა მოხდეს მხოლოდ უსაფრთხო, დაბალი ძაბვის

პირობებში. ძაბვის შესახებ დეტალების გასაცნობად იხილეთ მომხმარებლის სახელმძღვანელოს ტექნიკური მონაცემების ნაწილი.

- არ გამოიყენოთ IQOS-ი იქ, სადაც ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება აკრძალულია.
- IQOS-ის დამტენი მოწყობილობა დატენეთ მხოლოდ დახურულ სივრცეში, რაზეც ეს  სიმბოლო მიუთითებს.
- არ გამოიყენოთ IQOS-ი და არ დატენოთ IQOS-ის დამტენი მოწყობილობა ან/და IQOS-ის აქსესუარები, მათი დაზიანების, გახსნის, ან გატეხვის შემთხვევაში.
- არ გამოიყენოთ IQOS-ი, თუ ელემენტები ჟონავს.
- არ გამოიყენოთ, დატენოთ ან შეინახოთ IQOS-ი ისეთ ადგილებში, სადაც ტემპერატურა მაღალია (მაგ. ზაფხულის პერიოდში მანქანაში, და სითბოს წყაროებთან: გამათბობლებთან, ბუხრებთან).

- არ გამოიყენოთ IQOS-ი ისეთ ადგილებში, სადაც არის აალებადი მასალები, სითხეები და აირები.
- არასოდეს ჩააგდოთ ან ჩადოთ IQOS-ი ან მისი აქსესუარები წყალში ან/და სხვა სითხეში. არ შეეხოთ IQOS-ს ან/და მის აქსესუარებს, თუ ისინი დასველდა ან ჩავარდა რაიმე სითხეში.
- არ მოათავსოთ IQOS-ი ან/და მისი აქსესუარები სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად ვინაიდან ისინი შეიძლება დასველდეს წყლით ან/და სხვა სითხით.
- პერიოდულად განმინდეთ IQOS-ის დამტენი მოწყობილობის USB დამტენი პორტი უცხო სხეულების (როგორიცაა, მტვრის ნაწილაკები) დაგროვების თავიდან ასაცილებლად.
- გამორთეთ IQOS-ი ან/და მისი აქსესუარები ნებისმიერი კვების წყაროდან თუ ის გადახურდება, გაუშვებს ბოლს, ააღდება ან დაიწვება დატენვის დროს.

- არ შეეხოთ IQOS-ს ან/და მის აქსესუარებს, თუ ისინი გადახურდება, გაუშვებს ბოლს, ააღდება ან დაიწვება.
- გამოიყენეთ სიფრთხილით. არ დააგდოთ IQOS-ი და არ მოაქციოთ ძლიერი დარტყმის ქვეშ.
- ნუ შეეცდებით IQOS-ის რომელიმე ნაწილის გახსნას, შეცვლას ან შეკეთებას, ან მისი რომელიმე ნაწილის ან ელემენტების გამოცვლას.
- გამოიყენეთ IQOS-ი მხოლოდ 0°-დან 50° C-მდე გარე ტემპერატურის პირობებში.

ელემენტთან დაკავშირებული საფრთხე

IQOS-ი იკვებება დალუქული ლითიუმ-იონური (Li-Ion) კვების ელემენტით. ელემენტი დალუქულია მისი ნორმალური მოხმარების პირობებში.

- თუ ელემენტისაგან გაჟონილი სითხე გადაგეცლაპათ, დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ნუ გამოიწვევთ პირღებინებას ხელოვნურად და ნუ მიიღებთ საკვებს ან სასმელს.
- თუ ჩაისუნთქეთ ელემენტიდან გაჟონილი სითხის ორთქლი, გადით სუფთა ჰაერზე და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.
- ელემენტიდან გაჟონილი სითხის კანთან კონტაქტის შემთხვევაში, დაიბანეთ ხელები და არ შეეხოთ თვალებს.
- ელემენტიდან გაჟონილი სითხის თვალთან კონტაქტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ გამდინარე წყლით სულ მცირე 15 წუთის განმავლობაში და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

▲ სიფრთხილის დაცვა თერმული დამწვრობის საფრთხე

მოცემული უსაფრთხოების ზომებისა და ინსტრუქციების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს თერმული დამწვრობები:

- შეინახეთ IQOS-ი და გასახურებელი თაბაქოს ღერები სუფთა, მშრალ და გრილ ადგილას.
- აარიდეთ IQOS-ი და გასახურებელი თაბაქოს ღერები მაღალ ტენიანობასა და შვის უშუალო ზემოქმედებას.

- არ გამოიყენოთ გასახურებელი თამბაქოს ღერები თუ ისინი იმყოფებოდნენ გადაჭარბებული ტემპერატურის ან ტენიანობის ზემოქმედების პირობებში.
- არ ამოიღოთ გასახურებელი თამბაქოს ღერი გამოყენებისას.
- ნუ შეეხებით IQOS-ის გასახურებელ დანას.

▲ სიფრთხილის დაცვა | ალერგიული რეაქციის საშიშროება

- IQOS-ის და გასახურებელი თამბაქოს ღერების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები, როგორიცაა სახის, ტუჩების, ენის, ღრძილების, ყელის, ან სხეულის შეშუპება, სუნთქვის გაძნელება ან ხიხინი.
- შეწყვიტეთ IQOS-ის და გასახურებელი თამბაქოს ღერების მოხმარება და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, იმ შემთხვევაში თუ განიცდით ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელიმეს, ვინაიდან ისინი შეიძლება მიანიშნებდნენ სერიოზულ ალერგიულ რეაქციაზე.

გასახურებელი თამბაქოს ღერების ექსკლუზიური მოხმარება

- IQOS-ი და გასახურებელი თამბაქოს ღერები შეიძინეთ მხოლოდ თქვენს ადგილობრივ ან IQOS-ის ონლაინ (თუ მისაწვდომია თქვენს ქვეყანაში) მაღაზიებში ან სხვა უფლებამოსილ საცალო სავაჭრო ობიექტებში.
- IQOS-ი გამოიყენეთ მხოლოდ გასახურებელი თამბაქოს ღერებთან ერთად. ნუ გამოიყენებთ IQOS-ს სიგარეტთან ან მსგავს პროდუქტებთან ერთად, რომლებიც არ არის ნებადართული IQOS-თან ერთად მოსახმარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება მოგაყენოთ ზიანი.
- არ მოახდინოთ გასახურებელი თამბაქოს ღერების არანაირი მოდიფიკაცია ან არ დაუმატოთ რაიმე ნივთიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება მოგაყენოთ ზიანი.

ინფორმაციის გაზიარება არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში

- იმ შემთხვევაში თუ IQOS-ის ან/და გასახურებელი თამბაქოს ღერების მოხმარებისას თავს შეუძლოდ იგრძნობთ, გაიარეთ კონსულტაცია სამედიცინო დარგის სპეციალისტთან.
- არასასურველი მოვლენის ან ინციდენტის შესახებ შეგიძლიათ შეატყობინოთ თქვენს ადგილობრივ ქოლ-ცენტრს (დეტალებს იხილავთ მომხმარებელზე ზრუნვისა და გარანტიის ბროშურაში). საზიანო მოვლენების ან ინციდენტების გაზიარებით, თქვენ დაეხმარებით ინფორმაციის შეგროვებას ამ პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ.
- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ენვით ვებ-გვერდს www.iqos.com

ინფორმაცია IQOS-ის ნარჩენების მართვის შესახებ

მოქმედებს ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკურ სივრცეში

 ეს სიმბოლო პროდუქტზე ან მის შეფუთვაზე მიანიშნებს იმას, რომ ეს პროდუქტი და მისი ცალკეული ნაწილები (ელემენტების ჩათვლით) არ უნდა გადაყაროთ სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. არამედ, თქვენი პასუხისმგებლობაა, ნარჩენების მართვის საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე უზრუნველყოთ მონყობილობების მიტანა გადასამუშავებელ პუნქტებში, ელექტრონიკისა და ელექტრონული ნარჩენების შემდგომი გადამუშავების მიზნით. განუხილეთ ელემენტების უფასოდ დაბრუნება შეგიძლიათ მათი შესყიდვის ადგილას.

ნარჩენების (მათ შორის ელემენტების) გადამუშავების მიზნით მათი ცალკე დახარისხება და გადამუშავება ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების დაზოგვას და ნარჩენების შემდგომ ეფექტურ მართვას, რაც მოემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას და გარემოზე

ზრუნვას. მოწყობილობის ნარჩენების მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე გადაგდება (მაგ. ნარჩენების დაწვამ ან გადაყრამ) შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ტექნიკური მონაცემები

გასახურებელი მოწყობილობა:

IQOS 3 მოდელი A1404/

IQOS 3 DUO მოდელი A1406

ელემენტის სახეობა:

Li-ion მრავალჯერადი

დატენვის ელემენტი

შემაჯალი ძაბვა: 5V  1,6A

დამტენი მოწყობილობა:

IQOS 3 მოდელი A1504/

IQOS 3 DUO მოდელი A1505

ელემენტის სახეობა:

დატენვის ელემენტი

Li-ion მრავალჯერადი

შემაჯალი ძაბვა: 5V  2A

Bluetooth® 4.1

IQOS-ის დამტენ მოწყობილობაზე დატანილი სიმბოლო  რომელსაც მოსდევს "SxxA2x" მიუთითებს, რომ IQOS-ის დამტენი მოწყობილობა უნდა დაიტენოს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი IQOS-ის რომელიმე ნებადართული კვების ბლოკის მოდელის მეშვეობით.

IQOS AC კვების ბლოკი

მოდელი: S52A21, S21A20, S21A22, S21A23, S21A25, S21A27

შემაჯალი ძაბვა: 100V-240V~ 50-60Hz 0.3A

გამომავალი ძაბვა: 5.0V  2.0A

გამომავალი ენერგია: 10.0W

საშუალო აქტიური ეფექტურობა: 79.0%

დატვირთული ენერგო მოხმარების გარეშე: <0.09 W

USB Type C კაბელი

ელემენტის ამოღების ინსტრუქცია (უტილიზაციისა და გადამუშავებისთვის)

ელემენტი არ უნდა ამოიღოს მომხმარებელმა. პროდუქტის საექსპლუატაციო პერიოდის დასასრულს, მხოლოდ უფლებამოსილ გადამამუშავებელ პირს შეუძლია უსაფრთხოდ ამოიღოს ელემენტი შემდეგი ხერხით:

IQOS 3 DUO დამტენი მოწყობილობა (A1505):

ნაბიჯი 1: მოწყობილობა სრულიად განმუხტული უნდა იყოს მის დაშლამდე. მოხსენით სახურავი და ხრახნები ორივე მხრიდან.

ნაბიჯი 2: ამოიღეთ დამტენი მოწყობილობა კორპუსიდან.

ნაბიჯი 3: მოხსენით ხრახნი რომ მოხსნათ ფიქსატორი.

ნაბიჯი 4: მოხსენით ყველა FPC და დამაკავშირებელი რომ ამოიღოთ დამტენი მოწყობილობა PCB.

ნაბიჯი 5: ამოიღეთ ელემენტი და გაანადგურეთ ადგილობრივი რეგულაციების თანახმად.

IQOS 3 DUO გასახურებელი მოწყობილობა (A1406):

ნაბიჯი 1: მოწყობილობა სრულიად განმუხტული უნდა იყოს მის დაშლამდე. მოხსენით წინა კორპუსი.

ნაბიჯი 2: მოხსენით უკანა კორპუსი.

ნაბიჯი 3: მოხსენით ჩამრთველი ლილაკი გასახურებელ მოწყობილობას.

ნაბიჯი 4: ელემენტის ამოსაღებად საყრდენს წებოვანი ჩარჩო მოაშორეთ. წებოს გამო შუა ნაწილი უნდა გაიჭრას.

ნაბიჯი 5: ამოიღეთ ელემენტი და გაანადგურეთ ადგილობრივი რეგულაციების თანახმად.

ამრიგად, "Philip Morris Products S.A." აცხადებს, რომ IQOS 3 DUO აკმაყოფილებს 2014/53/EU ბრძანების ძირითად მოთხოვნებს და სხვა შესაბამის დებულებებს. შესაბამისობის ოფიციალური დეკლარაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: www.pmi.com/declarationofconformity

IQOS 3 DUO მოდელი A1505 მოქმედებს 2.402-2.480GHz სიხშირის დიაპაზონში მაქსიმალური RF გამომავალი ენერგიით 10.0 dBm-ის ქვემოთ. IQOS 3 DUO მოდელი A1505 აღჭურვილია პასიური NFC ტევით, რომელიც მოქმედებს 13.56MHz სიხშირეზე.

შექმნილია და წარმოებულია „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.“-ს ნებართვით, ჟან რენოს სანაპირო 3, ნოშატელი 2000, შვეიცარია.

Bluetooth®

Bluetooth® სიტყვიერი ნიშანი და ლოგოები წარმოადგენენ რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს, რომლებიც ეკუთვნის Bluetooth SIG, Inc.-ს და ამ ნიშნების Philip Morris Products S.A.- ისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ ნებისმიერი გზით გამოყენება ლიცენზირებულია. სხვა სავაჭრო ნიშნები და სავაჭრო სახელები ეკუთვნიან მათ შესაბამის მფლობელებს.